

ივერია

| თვე | მათ. | კ. | თვე | მათ. | კ. |
|-----|------|----|-----|------|----|
| 12 | 10 | — | 6 | 6 | — |
| 11 | 9 | 50 | 5 | 5 | 50 |
| 10 | 8 | 75 | 4 | 4 | 75 |
| 9 | 8 | — | 3 | 3 | 50 |
| 8 | 7 | 25 | 2 | 2 | 75 |
| 7 | 6 | 50 | 1 | 1 | 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაურის.

რედაქცია:
ნიკოლოზის ქუჩა, № 21.
ტფილისი

გაზეთის დასაბარებლად
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიმართონ რედაქციას და წერა-კითხვი
გამაგრც. საზოგადოების კანცელარიას.

ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ
16 კაპ. მეორეზედ—3 კაპ.

„ივერია“ ტელეფონი № 227.

„ივერია“ ტელეფონი № 227

„ივერია“

გამოვა 1896 წელსაც

იმავე პროგრამით, როგორც წინადა.

გაზეთის დაბარება შეიძლება შემდეგის ადრესით:

ტფილისი,

„ივერიის“ რედაქციას

ნიკოლოზის ქუჩა, 21.

ქართულთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების კანცელარიას, სასახლის ქუჩა, ბანკის ქარვასლა.

საფოსტო ადრესი:

ТИФЛИСЪ. Редакция „ИВЕРΙΑ“.

დაიბეჭდა და ისყიდება წერა-კითხვის გამავრცელებლის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში

პრეპული

არითმეტიკულის ამიჯანებისა და რიცხვითის მაგალითებისა.

მოსამზადებელი გურსია შედგენილი

რ. ჯაჯანაშვილის მიერ გამოცემა მესამე,

შეუცვლელად გადმობეჭდილი მეორე გამოცემიდან, რომელიც მოწინებულა სახელ-მძღვანელოდ კავკასიის სამოსწავლო ოლქის სამხრეთ-ჩრდილო რეგიონისათვის.

ფასი ხუთი შაურსი.

10-10

კავიანთი კვილის კვირთა

3. ი. კვირანთისა და მ-ნის ძ. დ. ილარიონოვისა.

ბიბლიო. ქუჩა, სახლი კრავუნისი, 79.

ფელეტონი

მამოთხე რეზა.

(მზავრის წერილები)

წერილი მეორე.

ბრძოლა ცხოვრების მეჯლისზე. შემდეგ*)

VI

თუმცა ამ მთებზე ამოსვლის დროს, აღმართი მაგდენად დიდი არ იყო, მაგრამ ოღრო-ოღრო დაღმართმა-კი ძალიან შეგვაწუხა. ამ კანტეში ზოგ ალაგას თუ ცხენიდან არ ჩამოხვალ, კისერს მოიტეხ—მოდი და ახლა შენ ენდე ცხენს, შენი სიცოცხლე მის ხელშია, ერთი თუ წაიბორძიკა, ვინ იცის რომელ კლდეს მიანთხვე ტენის.

ადი-ჩამოდით და შეგვეჩამოჯე-ქით ბებერა კლდის თავქვე დავე-ვით წალკით დაცემულ ვაკისკენ, სწორედ იმ ალაგს ვაუარეთ, სადაც აღმართული მიჯნის ქვებია (თიქმები), რომელნიც XVII საუკუნიდან საზღვრად იყო დადგმული ოსმალთა და საქართველოს შუა და დღეს-კი საზღვრად ითვლებიან ბორჩალოს და ახალქალაქის მხარეებს შუა. ზოგის

*) იხ. „ივერია“ № 261.

ავადყოფებს მიიღებენ დილის 9—3 და საღამოს 4—7 საათამდე.

კვირული

ყოველ გვარს სასამართლო სამსახურს, როგორც სამოქალაქოს, ისე სისხლის სამართლისას, ვწერ ყოველ გვარს არსებს, ვტვირთულობ აგრეთვე მამულმის ბანკებში დაბირა-ვებას.

მსურველთა მკვლევართან დაჯას 8—10 საათამდე და საღამოს 6—8 საათამდე.

ოქრომჭედლების ქუჩა, სახლი პავოვისა, № 30, იკითხეთ ა. მ. ანანაზაოვი.

ახალი ამბავი

* * * ოთხშაბათს, 13 დეკემბერს, ქართულ დრამატულ საზოგადოების დსხი გამართავს წარმოდგენას წერა-

სომეხ პატრიოტის აზრით-კი ეს ქვე-ბი სომხეთის საზღვარია—ფეშქეში..

ამისთანა აღმართული ქვები ძლი-ერ დიდ მანძილს მისდევს—ბორჯომის მთიდან გაყოლება მთელი ორი მაზ-რაა გამიჯნული.

ჩემს თანამგზავრს დავეკითხე რა ხალხი მოსახლობს წალკაში-თქო? აღმოჩნდა, რომ თითქმის მთელი წალ-კა ბერძენებითაა დასახლებული. ამათ-ში ორიოდ სოფელი: ქუმბათელე-ბი, თაქ-ქილისელები, სანთა, ბეშტა-შენი და იალიაში ბერძნულს ჰლო-პარაკობენ; დანარჩენები მაგალითად ავრანელები, ჯინისელები, გიარაქე-ლები და შიფაქელები ესენი სულ ლაპარაკობენ სომხურს და თათრულს და დედა-ენად ამ ბერძნებს სომხური გახდომიან, დანარჩენი ბერძნები სულ თათრულს ჰლოპარაკობენ.

წალკაში რომ ჩავედით, ერთი შე-სახარი ახალი ამბავი შევიტყუეთ. ეს-ლაც რომ ვწერ ტანშიმაცრეოლებს. ქიზიყელ მემცხვარებს ამ თრია-ლეთის მთაზე ამხანაგი მოჰკლამიათ. ჩვეულებისამებრ მიცვალებული გა-მოუწლავთ, გაუმსიანთ დამარცხებულ გვამით ხურჯინის ორივე თვლები და მიჰქონებიათ შინ დასამარხად. ამ გვარი მგზავრობა უფრო ღამის სიგ-რილით იცინა. სოფ. სანთას რომ მოახლოვებულან, ღამე ტბის პირას

კითხვის გამავრცელებელ საზოგადო-ების სასარგებლოდ. იმედია ჩვენი საზოგადოება კვლავინდებურად თა-ნაგრძნობით მიეგებება ამ საქველ-მო-ქმედო აზრით გამართულს წარმო-დგენას. წარმოსადგენათ დანიშნუ-ლია „მადამ სან-ენ“, რომელიც მე-ტად მოეწონა ქართულს საზოგადო-ებას და „გულმა იგრძნო.“ ითამაშე-ბენ საუკეთესო არტისტები ჩვენის დასისა.

* * * ოთხშაბათს, 6 დეკემბერს, ტფილისის მეორე საკვირაო სკოლამ გამართა „საკვირაო სალიტერატურო დღე“ რუსულის, ქართულისა და სომხურის განყოფილებითა. მოწა-ფეებმა წაიკითხეს რუსული ქარ-თული და სომხური ლექსები და სხვა-და-სხვა სიმღერები აღასრულეს. საზოგადოება საკმაოდ ბლომად და-ესწრო და ნასიამოვნები დაიშალა.

* * * სახალხო კითხვათა გამმართველმა კომისიამ ოთხშაბათს, 6 დეკემბერს, გარდასწავიტა თვეში ერთ კვირა დღეს დაუთმოს ქართულ დრამატულ სა-საზოგადოებას ქართულ სახალხო წარმოდგენების მართვისთვის ავკა-ლის ქუჩის თავისი შენობა.

* * * 6 დეკემბერს, მისის უდიდე-ბულესობის სახელწოდების დღესას-წაულის დღეს, ტფილისის ყველა მკ-ლეციებში გარდახდილ იქნა ლიტუ-რგია და პარაკლისები წარჩინებულ პირთა, ყველა დაწესებულებათა წა-რმომადგენლებისა, ჯარებისა და მრავ-ალ მლოცველთა თანადასწრებით. მთელი დღე ქალაქი ბაირადებით იყო მორთული და საღამოს გაჩრადენე-ბული.

დაუსვენიათ. მოგვასენებათ, ერთი პირი ძილი წყალსაც მოუვაო; მი-ნარეებს დასცემიან ღამე ბორჩალოს თათრები, ყელეები გამოუქრია, მუ-ცლებში თოკი გაუყრიათ, ერთმანეთ-ზე გადუბამთ და სანთის ტბაში ჩა-უყრიათ და ის ხურჯინიც, მიცვა-ლებულის გვამი რომ ეწყო, ისიც შიგ ჩაუტანებიათ. ეს ამბავი იგლი-სის დამღვეს მომხდარა. ზოგი ამ-ბობს, იმ დამსვე ტბის ახლო-მხლო გილატ ბერძენ მწყემს ღამის მხარეს გაეგო არა ჩვეულებრივი ყვირილი: „გვიშველეთ, ვინა ხართ ქრისტიანე-ბო“ და მეორე დღეს მოხელეს შე-ატყობინა მწყემსმაო. ზოგი-კი ამ-ბობს, კამეჩები რომ ჩასულან ტბაში სახანებლად, იმათ რქებით ამოუტა-ნიათ ერთმანეთზე გადაბეული გვა-მებიო.

ყველა იმ აზრისაა, რომ ეს საში-ნელი ბარბაროსობა იმის შედეგია, ზემოდ რომ მოყვანილი შემთხვევაა, როცა თათრები ცხვრის მოსაპარად მისულიყვნენ და ქიზიყელ მეცხვარეს მგელი ჰგონებოდა, ბენლაში ვერ გაერჩია, ტყვიით დაეჭრა ერთი თა-თარი, რომელიც გზაზე მოჰკლამო-და ამხანაგებს. ახლა ეს მხეცური სა-მაგიერო გადაუხდიათ ამ უგუნურ პირუტყვებს.

ეს-კი წრეს გადასული ბარბარო-

* * * დღეს, 8 დეკემბერს, საღამოს 7 1/2 საათზე, კავკასიის საიმპერატო-რო სამეურნეო სამკურნალო საზო-გადოების საგანგებო სხდომა დანიშ-ნული. სხდომა განიხილავს მოხსენე-ბას ე. ი. ჭრანციუსისას, ა. ი. მი-მინოვისას და მ. ზ. ავთანდილოვისას იმის შესახებ, თუ როგორ მოქმედებს დიფტერიტის პროცესზე ამ სენის წინააღმდეგი შრატის კან ქვეშ ჩაშ-ვება, ანუ აცრა.

* * * დღეს, 8 დეკემბერს, საღამოს 7 1/2 საათზე კავკასიის სამეურნეო სა-ზოგადოების საზოგადო კრებაზე ს. მ. ზავაროვი წაიკითხავს მოხსენებას: ერევნისა და ყარსის მხარეში მო-სახლეობის სამეურნეო მიზეზები.

* * * ქ. ტფილისის ხარჯთ აღრიც-ხვით მომავალ 1896 წ. ქალაქის სა-ზოგადო თვით-მმართველობა თხოუ-ლობს 480 მანეთს 50 სკამისათვის, რომლებიც დაიდგებიან გოლოვიჩის პროსპექტსა, მიხეილის ქუჩასა და ალექსანდრეს ბაღში, 800 მან. იმი-სათვის, რომ ახასაბადის მოედანზე ბალი იქმნას გაშენებული და 250 მანეთსაც ალექსანდრეს ბაღის ქვეი-თა ნაწილის გასაუმჯობესებლად.

* * * ქალაქის საბჭოს აღმასრულე-ბელმა კომისიამ თხოვნა შეიტანა საბჭოში, ითხოვონ სახლის პატრო-ნებისაგან ქუჩებში მათ სახლებ წინ ხეების ჩაყრას ხელი არ შეუშალონ ხოლმე.

* * * გუშინ, 7 დეკემბერს, მივიღეთ პირველი №-ი ვაზ. „კაზბეკ“-ისა, რომელიც კავკავში გამოდის. ვაზეთს, როგორც მისი მოწინავე

სობაა, შემადრწუნებელი მხეცობაა და აღარა ჰგავს გონიერ ბრძოლას ცხოვრების მეჯლისზე.

ბორჩალოს თათრების ამ დაუდ-გრომელმა მხეცობამ და მათმა განუ-წყვეტელმა კაცის კვლამ გამახსენა ჯავახელ ბერკაცების გარდმონაცე-მი.

ახალციხის ფაშას, სახელმწიფო საქმის გამო, ხონთქრის ბრძანების თანახმად, ელჩები გაგზავნა ერეკლე მეფესთან. ელჩთა შორის მგონი ფა-ლაგანდიშვილიც იყო სანდჯახ-ბეგი გამაჰმადიანებული ქართველი. ტფი-ლისში დანიშნულ სადარბაზო დღეს მეფემ თავაზიანად მიიღო ელჩნი, რომელთაც ჩვეულებრივ ეტიკეტით მოკითხვისა და საღამ-ქალამის შემ-დგე ფეშქაშები მიართვეს და მშვი-დობიანობა-მეგობრობა გამოუცხა-დეს ხონთქრისა და ფაშის მხრივ. მე-ორე დღეს მეფემ მიიწვია ელჩნი მეჯ-ლისზე და ამგვარ პატივში იყვნენ ელჩნი რამდენსამე დღეს.

ხოლო ერთს დილას, როცა ელჩ-ნი დარბაზს მივიდნენ და მიულოცეს მეფეს მშვიდობის დილა, მეფემ ერ-თი იმისთანა მოღრუბლულ სახით შეხედა ელჩებს და წარბ-შეკმუხვნილ-მა იმისთანა კილო-რიხით მისცა პა-სუხი, რომ ელჩებს სულ ცახცახი დააწყებინა, ენა მუცელში ჩაუვარ-

წერილიდან ვტყობილობთ, აზრად აქვს გააცნოს ხალხს კავკასიის, ამ მრავალ დრო-ჟამთა მოწმის განსაცვი-ფრებელი და დიდებული ბუნება და აგრეთვე კავკასიის სხვა-და-სხვა ერნი. ვაზეთი, როგორც სჩანს, გამოვა კვი-რაში სამჯერ—სამშაბათს, ხუთშაბა-თსა და კვირას.

* * * „ნორ-დარის“ სიტყვით, სო-მეხთა კათალიკოსი ამ შამთარში ტფი-ლისში აპირებს ცხოვრებას.

* * * კახეთიდან გვატყობინებენ: ჩვენდა საუბედუროდ რამდენი დროც გადის, იმდენი უფრო თვალ-საჩინოდ თავს იჩენს ჩვენი ქურდობა, მაგრამ უპატრონოდ და უწყურადღებოდ მი-ვარდნილს კახელებს არსაიდან ხსნა და შეველა არა გვაქვს. დავასაბუთებთ მაგალითით: სოფ. ველისციხეში ისე ღამე არ გავა, რომ ან ცხვრები, ან ინდოურები და სხვა ფრინვე-ლები არ მოიპარონ; ს. გურჯაანში ხომ ისე წათამამდნენ ჩვენი ღამის რაინდები, რომ ამ ორიოდღე დღის წინად შიგ შუა სოფელში, ღუქენების მახლობლად, მიმავალს ფურგუნებს ახსნეს ზედ გადასაფარებელი ტილო-ები.

* * * როგორც ვაზ. „ნოვ. ობ.“-ე სწერს, კავკასიის სამოსწავლო ოლ-ქის მზრუნველი კ. პ. იანოვსკი ავად თურმეა.

* * * იმავე ვაზეთის სიტყვით, კავ-კასიის სამოსწავლო მთავრობას წი-ნადადება წარუდგენია განჯაში მარი-ნეს საქალგებო სასწავლებელი გახს-ნან. წლიურად სასწავლებელს 16,600 მან. ხარჯი ექნება.

დათ და ერთი მეორეს შესცქეროდა, მაგრამ ვერც ერთმა შეჰხედა მეფეს ეკითხნა მიზეზი განრისხებისა..

მეფემ უბრძანა თავისს ვეზირს: — წაიყვა ესენი, ერთი თავისის თვალით ჰნახონ,—მერე ელჩებს მი-უბრუნდა და ხელით ანიშნა—მი-ბრძანდით და შეიტყობთ რაც ამბა-ვია!..

საქმე აი რაში იყო: 1636 უბედურ წელს, ოსმალთა რომ ეს ზემო-ქართლი—მესხეთი და ჯავახეთი დაიპყრო, მაშინ, როგორც ზვეითაც მოვიხსენიეთ, საზღვრად ახალციხის ფაშალიკს (საფაშოს) ეს თრიალეთის მთები ჰქონდა ჯავახე-თის მხრივ.

ხშირად გადმოსთვლავდნენ ხოლ-მე ამ სახელმწიფ. ზღვარს ოსმალთს თათრები და ოსმალეთში საყაჩაღოდ გადმოცვივებული ლეკები ბორჩალოს თათრებს ყონადად უხდებოდნენ და შეერთებული ბრბო ავაზაკებისა ნა-ვარდობდნენ ბორჩალოს მხარაში, ლორში და შიდა-ქართლშიც-კი შე-ცვივებოდნენ ხოლმე.

თურმე იმ წინა დამესაც მანგლი-სისკენ დასცემოდნენ ოსმალთს თათ-რები ქართველებს, საქონელი დაეტა-კათ და რამდენიმე კაციც მოეკლათ. გაჭირვებული ქართველობა, მობეზრე-ბულნი ამ განუწყვეტელ ავაზაკობი-

* როგორც ამას წინადაც ვაცნობთ მკითხველთ, კავკასიის სამეურნეო საზოგადოებამ გარდასწყვიტა დაარსოს სამეურნეო ცნობათა და ნაწარმოების გამოფენათა ბიურო. მეურნეობა, რომელსაც ჰსურს ამ ბიუროთი ისარგებლოს, უნდა გამოგზავნოს ნიმუშები სხვა-და სხვა ნაწარმოებისა: პურისა, ქერისა, სიმინდისა, ლიმისა, შერისა, ქვავისა, შირბახტისა, ბამბისა, თუთუნისა, მატყლისა, სელის ზეთისა, თხილისა და კაკლისა, ნუშისა და გამხმარ ხილეულობისა, სალაფისა, ბრინჯისა და ფეტვისა. ნიმუშებზე უნდა აღნიშნოს: რამდენი აქვს გასასყიდ ნაწარმოები, რა ღირს ადგილობრივ და რა დაჯდება ტფილისში გამოგზავნით, რომელი წლის მოსავლისაა და აგრეთვე საფოსტო აღრისი. გამოგზავნილი ნიმუშები გამოიფინება „საზოგადოების“ დარბაზში და დილის 9 ნაშუადღევს 3 საათამდე მსურველთ შეუძლიან ნიმუშების დათვალიერება. ბიურო საქმეს იჭერს 6 მიწვევით. მარათავს საგაქრო ფირმებთან და ვაჭრებთან, უგზავნის მათ ცნობებს და ნიმუშებს. ამ რიგად სოფლის მეურნეთ გაუადვილებათ ნაწარმოების გასყიდვა ნამდვილ ფასად. ნიმუშად უნდა გამოიგზავნოს: ხორბლისა და თესლისა არა ნაკლებ 10 გირვანქისა, ზეთისა—2 გირვანქისა და დანარჩენისა არა ნაკლებ 5 გირვანქისა. ღვინის მკეთებელთ უნდა გამოგზავნონ მხოლოდ ცნობანი, თუ რამდენი აქვთ გასასყიდ ღვინო. გარდა ამისა ბიუროს შემწეობით და დახმარებით მეურნეთ შეუძლიან გამოიწვიონ: სხვა-და-სხვა გვარი თესლეულობა, სამეურნეო იარაღები, ავადმყოფ ვაზისთვის საჭირო წამალი და სხვა.

მოსალოდნელია, რომ ჩვენი მეურნენი ისარგებლებენ ამგვარ საჭირო დაწესებულებით.

* 4 დეკემბერს, ბარბარობას, წმ. ბარბარეს ეკლესიაში, ნავთლუ-

საგან, მეფესთან ჩამოსულან საჩივრულად და ორი კაცის აჩივნილი გვაძიკ ჩამოტანათ და მეფის წინ დაეყარათ— „მახე მეტი აღარ შეგვიძლიან, გავწყდით გვიპატრონეთ...“

მეფეს საძინლად სწყენია თათრებთან ამგვარი თავ-გასულობა და გათამაშება, მით უფრო, რომ ამგვარი ბარბარობა ბოველი არ იყო და არც უკანასკნელი იქნებოდა...

ოსმალის ელჩნი ოცა გამოსამზიდებლად მივიდნენ მეფესთან, მაშინ ერეკლე მეფემ უკანასკნელად უთხრა:

„ნეტა როდემდე უნდა ვითმინოთ თქვენი ხალხისაგან ამდენი ძარცვარბევა და ძხვეცი ავაზაკობა?“

გადეცით თქვენს ფაშას... ღმერთი, რჯული თქვენს ქერქში დადექით, მოგავსებთ, თორემ გაბებრებული ისეთს საქმეს ჩავიდნენ, ვფიცავ ერეკლეს მხეს, რომ ჰემ თავსაც დაეღუპავ და თქვენც თქვენი კილითვე თქვენს ხოცს გაგლეჯინებთ! ვალოლა, ბილლა ისეთს პატრონს მოუყვას საქართველოს, რომ მეც ლახდვით საფლავშია-კი აღარ წაძასვენოთ და თქვენც საძარღვოდ მოისპოთ!

VII

წალკაც ისეთი მოტიტლებული ქვეყანაა, როგორც ჯავახეთი, მხოლოდ იმითი განსხვავდება, რომ ყუბნებში ზოგან პანტის ხე სდგას. აქაურმა მოსავალმა თუშცა მალალი ყა-

ღში, მრავალმა ხალხმა მოიყარა თავი სალოცავად, როგორც ქალაქის მცხოვრებთ, ისე ახლო-მახლო სოფლებიდანაც.

მაგრამ, როგორც საზოგადოდ ყველა ხატობაში რამ უბედურება მოხდება ხოლმე, არც ეს დღე ასცდა ამას და ერთმა ეტლმა, რომელიც ქარხვით მიჰქროდა და მიმავალს ხალხსკი ყურადღებას სრულიად არ აქცევდა, გაიტანა სახედარი, რომელზედაც საწყალს გლეს თავისი ორი პატარა შვილი შეესვა და ხატის კარს მოჰყვანდა; ერთი ამ ბავშვებანი მშვიდობიანად გადაარჩა, ხოლო მეორეკი დაშავდა მკლავში; ესეც ვირის წყალობით (ვირი ეტლს ვაგებია და ბავშვებს ამიტომ დიდი ზარალი არ მისცა), თორემ საბარლო ბავშვებს მთლად მიღეწდნენ ცხენები და ეტლი. მეეტლემ არხინად გარეკა ცხენები, ვითომ ბუზიც არ გაესრისოს.

* როგორც შევიტყუთ, სოფელ კოლაში (ტფილისის მაზრა) ამ უკანასკნელ ხანებში ძალიან თურმე გავრცელდა საქონლის ქირი. იქაური გლეხები იძულებულნი თურმე არიან, თუ რამ სახელმწიფო ბარგია გადასატან-გადამოსატანი, ნაქირავები ფურგუნებით და პოვოკებით ჰხიდიონ, რის გამოც უმისილად სიღარიბეში ჩავარდნილი სოფელი მეტის-მეტად თურმე სწუხს. ამის გამო კიდევ შეუტყუბინებიათ, სადაც ჯერ არს, და იმედი აქვთ, რომ საგუბერნო მმართველობა მალე მიაშველებს ექიმს და წამალს დაავადმყოფებულ პირუტყვთ. შენი მატერია, თუ წლევანდელს მოუსვალთ და სხვა ზარალს ესეც დაერთო, — საქონელიც გაუწყდათ, — მართლაც, რომ დიდი გასაქირი მოელის გლეხებს.

* როგორც გამოცხადებული იყო „ოვერიაში“ (№ 264), 7 დეკემბერს, ქართულს ენაზე შესრულებულ იქმნა ოკროპირის წირვა სასულიერო სემი. ნარის ეკლესიაში; იგივეს ქართლ-

ნა იცის, მაგრამ, მეტადრე წვიმიან ზაფხულში, გიყი პური მოდის. ამ მათრობელა პურს აქ დალიჯას ეძახიან თათრულად და თუ გაქირვებული არა, სხვა არავინ სკამს და იასაც ქერის-ფქვილ ნარევს აცხობენ. ამგვარად წალკელი გლეხი უფრო საქონლის მოტენებას მისდევს და მეტადრე თუშურ ცხვარი ინახვენ თუშებისაგ წესზე. ტყე, საციციანო, წალკას ახლო აქვს, მაგრამ საწვავად უფრო წივას ჰხმარობენ. — როგორც ჯავახეთში, წალკაშიაც სოფლები დაღერემილი შეხედულობისა არიან, ტალახით და უთლელ-ქვით ნაშენი, ნახევრად მიწაში წასული სახლები, მიწის ფრადეც გამოიყურებიან. არსად ვენახი, არსად ბაღი და ბოსტანი. მოგესხენებათ, რომ ამისთანა მოტიტლებულ არე-მარეს ფრინველებიც არ ეკარებიან. ხოლო რა ქვეყანაშია ცხვრინველი არ არის, ის ქვეყანა მკვდარია. ვისაც გსურს თქვენი მიდამო გააცოცხლოთ, ფრინველები მოიწვიეთ და ვისაც გსურს ფრინველების მოპატეება, დარგვით ბუჩქები, ხეები და ხილნარია. დიდი-ხნის ცდა არ დაგქირდებათ, ფრინველები თითონ მოვლენ და ყოველ ზაფხულს ქიკიკი-გალობით, თავის ცელქობით, მხიარულებით სიცოცხლეს დაგიტკობონ და მთელ არე-მარეს გახარებენ.

კახური (კარბელანთ) კილო, ნოტებზე დაწერილი მოსკოვის კონსერვატორის პროფესორის მ. მ. იპოლიტოვი-ივანოვის მიერ 1884 წ. გალობა-წირვა მოისმინეს; საქართველოს ექსარხოსმა ვლადიმირმა, ყოველდღე სამღვდლო ეპისკოპოსმა ალექსანდრემ, სემინარიის რექტორმა სერაფიმმა, ინსპექტორმა მღვდელ-მონაზონმა გერმოგენმა, არხიმანდრიტმა ნიკოლოზმა, დეკანოზებმა: ელიევამ, პ. ყონჩუევმა და მრავალთა მღვდელთა; საერთოა შორის ჩვენ შევნიშნეთ მრავალნი მასწავლებელნი და ქალნი — ბ. ბ. იოსელიანი, მთავრელი-შვილი, რატი-შვილი, ქარიძე, სადაგლოვი, სარაჯევი და სხ. წირვის გათავებისს შევნიშნეთ საზოგადოებაში კმაყოფილება მოსმენილის გალობისა გამო. ექსარხოსმა რამდენსამე პირს უბრძანა — 1 იანვრამდე თქვენი აზრი მაქნობთ ამ მოსმენილ გალობაზედა. გამოსვლის დროს ექსარხოსმა ამბიონიდან ჰკითხა დამსწრე საზოგადოებას: „მართლმადიდებელნი ქრისტიანენო! მოგწონთ დღეს მოსმენილი გალობა, თუ არა? თქვენი აზრი საჭიროა ვიცოდეთ, რადგან ეგ გალობა, მოწონების შემიღებ, უნდა დაიბეჯოს და დარიგდეს საქართველოს ეკლესიებში სახმარებლად. საზოგადოებამ მოახსენა მოწონება და სთხოვა მალე დაიბეჯოს.

დამსწრენი: მღ. პ. კარბელოვი. მღ. ა. მოლოდინოვი.

* ქალაქს ამ წლის პირველ იანვრამდე პირველ ნოემბრამდე შემოსავალი ჰქონია 913,010 მ. 85 კ., ხოლო ნოემბრის თვეში 61,659 მ. 31 კ., სულ-კი პირველ დეკემბრამდე 974,670 მ. 16 კ. ხარჯი პირველ იანვრამდე პირველ ნოემბრამდე ჰქონია 781,415 მ. 78 კ., ნოემბრის თვეში — 79,086 მან. 84 კ., სულ-კი პირველ დეკემბრამდე 860,503 მან. 62 კ. ხარჯს გარდა,

როგორც ზემოდაც გვქონდა ნათქვამი, მთელი წალკა დასახლებულია გადაგვარებულ ხალხით, ე. ი. მთლად წალკა ბერძენებთან დასახლებული, მაგრამ ისე დამახინჯებულა მათი ეროვნება, რომ ძალი პატრონს ვერ იპოვის, მომაგონდა კრილოვის ბატები. უმეტესია ამითაც თავი მოაქვთ ბერძენი ვართო.

უნდა გამოგიტყდეთ, რომ საღამოს ჩაის დრომ მოაწია და წყურვილმა დაგვძლია. ერთ ქაჩალ სოფლის ახლო, ძნის ბულულის ჩრდილში ჩამოვხდით დაღალულ დაქანცული ხალხი და ჩვენი ზაქარო მაწვნის სასყიდლად სოფელში გავგზავნეთ და ზოგმაც ცივი წყალი დააბარა.

ზოგმა წყალი სვა, ზოგმა მაწონი სკამა, ზოგმაც წყალ-ნარევ მაწონით (ჩაღხამა) გული გავიგრძიეთ. იყო დრო, რომ ქართველებს დაგვცინოდნენ, მაწვნი-ქაშიებს გვეძახოდნენ, მაგრამ ახლა-კი ჩვენ ვაჯობეთ. წარმოიდგინეთ, რომ ესლა მაწონი უებარ წამლად ითვლება და საუკეთესო დოკტორ-პროფესორები უნიშვნენ მრავალ ნაირ ავადმყოფობაში. ერთი ჩემი ნაცნობი დოქტორი ხურევი (Тифль срышной) ავად გახდა არტანში და მაწვნის მეტი არაფერი არ მიიკარა; წამალიც ის იყო მისი, საქმელიც და სასმელიც — უარ-ჰყო ყოველივე წამლობა და წამლები. — ერთს კვირაზე კაცი ფეხზე წამოდგა.

ქალაქს წმინდა შემოსავალი დარჩენია 114,167 მანეთი 54 კაპეიკი. შემოსხენებული ფული პირველ დეკემბრამდე ქალაქს შემოსვლია შემდეგ აღიღებინა: ქალაქის საიჯაროდ მიწებისა 8,506 მან. 74 კაპ., ქალაქის სახლიდამ, რომელიც ერევის მოედანზე იმყოფება, 18,396 მან. 79 კაპ., ქალაქის წვრილ ვაჭრებისაგან, რომელთაც იარაღუკაში გამოაქვთ საქონელი — 10,145 მან., დროებით გამართულ დუქნების ქირა — 5,590 მან. 43 კაპ., ეტლ-ურემების დასადგომის ხარჯი — 14,520 მან. 31 კაპ., ვერის ხიდისა — 10,588 მან. 51 კაპ., მნაცკანოვის ხიდისა — 6,296 მ. 98 კ., ქალაქის სასწორ-საწონისა — 7,413 მან. 18 კაპ., დასაფასებელი ხარჯი — 250,742 მან. 76 კაპ., სავაჭრო საბუთების ამღებთაგან — 55,417 მან. 51 კაპ., ტრაქტორებისა და ყავახანების პატრონთაგან — 45,002 მან. 35 კაპ., სატივოსაგან — 10,344 მან. 50 კაპ., ცხენების გარდასახადისა — 24,396 მან. 33 კაპ., გერბის გარდასახადი — 5,870 მან. 64 კაპ., ქალაქის წყალის მილის შემოსავალი — 177,570 მან. 3 კაპ., ქალაქის საყსობად — 43,958 მან. 46 კაპ. და დასაფასებელ ხარჯის დროზედ შეუტანლობის ჯარიმა — 16,159 მან. 88 კაპ.

* როგორც ნამდვილად შევიტყუთ, ნაფიც ვეჭილის თანაშემწეს ბ-ს გიორგი გვაზავს საჩივარი შეუტანია გავ. „კავკასის“ რედაქტორი ნ. მილიუტინსა და ამ გავთვის თანამშრომელ ილია ხონელზე (ბახტაძე), რომელთაც იმ ბრალსა სდებს, რომ გავზეთში ცილი დამწამესო. ეს საჩივარი ილია ხონელის იმ ფელეტონის გამოა გამოწვეული, რომელიც ამას წინად დაიბეჯდა გავ. „კავკასში“ და შეეხებოდა წყალ-დილობას, ხოლო ამასთან ერთად ნაფიც ვეჭილის ერთი თანაშემწეც იყო დახასიათებული, როგორც მთხრობელი

კუქის ტკივილში (каатаръ желудка) მაწონი ნამდვილი უკვდავების წყალი. ეჰ! ჩემო ჰორაციო, ვინ იცის ჩვენს საქართველოში რამდენი ამისთანა საიდუმლოება დამარხული, რომელსაც გამოქვეყნება სჭირდა, აი ჩვენ ლობიოსაც ხომ დასცინოდნენ, ესლა-კი ყველა მეცნიერი იმ აზრისაა, რომ ლობიო კართოფილს აჯას წილად სჯობს — მაძრობაც მეტი აქვს და ჯანისთვის, 'გულისყურისთვის და სიმხნე-სიმამაცისათვისაც, ლობიოს ჰამა სჯობია. კართოფილი კი ცალიერი სახამებელია და კაცს ლაჩარს გამოზრდის ხოლმეო.

გავედით მღ. ქცბა და სამის ვერსის მანძილი რომ გავიარეთ, აქ ერთად-ერთი ქართველი სოფელი ვიპოვეთ, სახელდობრ რეს, რომელშიაც 160 კომლი ქართველობა ასახლია. გამეხარდა. ვიფიქრე, სულ არაბობას, წამლად ხომ მაინც დარჩენილა ქართველობა წალკაში. მაგრამ ისე თქვენი მტერი და მაწყევარი დაღონდეს, როგორც მე ამ რეხელების ნახვამ დამაღონა. ქართული საყველბუროდ ძლივს-ღბ იციან და ამითაც ღვიძლი დედა-ენის ქართულის მაგიერ დედინაცვლად თათრული ენა ვახდომიათ. მღვდელი „ბერძენი“ ჰყავთ, რომელიც ეკლესიაში ბერძნულად სწირავს, თუმცა თითონაც არ ესმის, რასა სწირავს, რადგან

ამ ამბისა, ბ-ნი გ. გვაზავს სწერს თავის საჩივარში — ხსენებულს წერულში ავტორს მე ვუყვარ სახეში, რაც ამ ქარადა სჩანს როგორც გარეგან წერილები, ასე იმითაც, რომ გვაზავზედ მე გრედალა ვარ წოდებული და აგრეთვე იმიტომაც, რომ ის ამბავი წყალ-დილობისა ილია ხონელს მე ვუამბეო; იმავე წერულში ნათქვამია, ვითომ მე ურცხვად სხვის ცოლებს ვეარსიყებოდენ და ამისათვის ბევრჯელ კიბიდანაც ჩამოგვიძანებინეთო. ასეთი საქციელი არ შეუფერის ჩემს წოდებასა, ვითარცა ნაფიც ვეჭილის თანაშემწისა, და რგი სრული ცილის წამებაა, რომლისათვისაც უნდა დაისჯენ ბეჭდვით ჩემნი ცილის-მწამებელნი ილია ხონელი, ვითარცა დამწერი ამ ცილის-მწამებისა და რედაქტორი ბ-ნი მილიუტინი ამ ცილის-წამების დაბეჭდვისათვისო. ეს საქმე 11 დეკემბრისათვის არის დანიშნული ტფილისის მეორე განყოფილების მომრიგებელ მოსამართლის თანაშემწესთან, რომელ დღისათვისაც დაბარებულნი არიან როგორც ბრალდებელი, ისე ბრალდებულნი.

ქო რ ა მ ს მ ნ ე მ ე ნ ი ა .

მარწო, (თიანეთის მაზრა). ერწო წარმოადგენს ვაკე დაცემულს მინდორს, გარეშემა მალალი მთებით შემოზღულულს. აქ განისვენებენ საქართველოსთვის წამებულნი დიდებულნი მეფენი: არჩილ და ლუარსაბ, რომელთა საცანე ჩვენი დაუდევრობისა გამო დაქცევას აპირებს და თუ ეს-ლავე არ შეკეთდა, სამუდამოდ დაიკარგება შთამომავლობისათვის!

ერწოში ოცამდე პატარ-პატარა სოფლებია, გარდა ორისა, სემონიანთ-ხევისა და საყდრიონისა. მკვიდრთა რიცხვი არ აღემატება ცხრაას კომლს. მოდგმით ერწოელნი არიან ფშავ-ხევისურ-მთიულეები. თუშ-ბერძნული ლაპარაკი არ იცის. მაგრამ ეს მღვდელი სახარებასაც-კი უთარგმნის თავისს მრევლს ბერძნულიდამ თათრულად და ქადაგებასაც თათრულ ენაზე ამბობს. რადგან რეხელებმა არც ერთი სიტყვა ბერძნული არ იციან, ამიტომ აღსარებასაც თათრულ ენაზე ეუბნებიან.

აი რეხელების გვარები: ხუცესი-შვილი და აწ ქემში-ოღლი, კოვზია-შვილი, საბანაი, მურვანი-შვილი და აწ მურვან-ოღლი, ბალაბანი-შვილი, მაცუკატოვი და სხვ.

მაცუკატოვების გვარიდამ ორი მღვდელი მღვდლობდა ამ სოფელში. პირველად კირიაკი, რომელმაც მხოლოდ კითხვა იცოდა ბერძნული და ლაპარაკი-კი არა. ეს ღვდელი გარდაიცვალა ამ 30 წლის წინად და მერე მისი შვილი ისტაფილა ღვდლობდა, რომელიც აგრეთვე ბერძნულად სწირვა-ლოცვას ასრულებდა, თუმცა-კი თითონ არ ესმოდა და არც ჰლაპარაკობდა ამ ენაზე. ესეც გარდაიცვალა ამ ოცის წლის წინად და დღეს ღვდლობს ავრანელი, რომელიც მხოლოდ ბერძნულად სწირვა-ლოცვას ასრულებს და თითონ-კი არ ესმის ბერძნული, რადგან ავრანელ ბერძნებს დედა-ენად თათრული ვახდომიათ.

სკოლაზე ჩამოვადეთ ლაპარაკი. რატომ სკოლა არა გაქვს-თქო? სკოლა როგორ არა გვაქვს, ჩემ-

ცა ერწო საქართველოს მატარებელში იხსენიება ხალხით დასახლებულ ადგილად, როგორც ქმარობის „ქართლის მოქცევა“ და გარდავიდა (ნინა): ერწო: და დაღვა ეალეთს: დაბასა ედგმს და ნათელსა ერწოთიანელთა***) და ბატონიშვილის ვახუშტის სიტყვითაც „ერწო ოდესმე ყოფილა მრავალ შენობიან დაბებთან“, მაგრამ გაბედვით შეგვიძლიან ვსთქვათ, რომ მაშინდელი შთამომავლობისა ეხლა ერთ კომლსაც ვერ იპოვნით აქ. რა დამართათ უწინდელ ერწოს მკვიდრთაჲს, რაც ზოგიერთ საქართველოს სოფლებს და ქალაქებს, რომელთა სახელები მხოლოდ ხალხის ხსოვნაში და ისტორიაში დარჩენილა. დიად, უნდა ვიფიქროთ, რომ უწინდელი ერწოს მკვიდრი მტრის ხელით აღგვიღან და მათი მოხრებული და ვერანად დარჩენილი ადგილი შემდეგში დაუქრიათ საქართველოს სხვა-და-სხვა კუთხეებში მოსულს ისევ ქართველ ხალხს, რაც ნათლად მტკიცდება ხალხის თქმულებით, გვარებით და ზენე-ჩვეულებით.

ერწოელების ცხოვრების საღასარს შეადგენს ხენა-თესვა, შეშისა და ნახშირის გაყიდვა. ამ უკანასკნელ რვა წლის ზედი-ზედ მოუსავლობამ ერწოელები სიღარიბეში ჩააგდო. წელს ერწოში თუმცა საშუალო მოსავალი მოვიდა პურისა, მაგრამ მეტის-მეტად ბევრი წვიმებისა გამო ძნა გაუღწევი დარჩა.

განათლებით ერწოელები ძლიერ უკან არიან დარჩენილნი. ჯერ კიდევ ბევრი ხანი გაივლის, ვიდრე ერწოელებს უმეტრების წყვილი მოსცილებათ. თუმცა მათ აქვთ ერთი სკოლა ქრისტიანობის გამავრცელებელ საზოგადოების მიერ დაარსებული, მაგრამ ყმაწვილები ნაკლებად დაიარებიან სკოლაში და თუ სწავლობს ვინმე,

*) იხ. ქრთინევი თ. ჟორდანიასი გვ. 32.

ნი სკოლა სამის ვერის მანძილზეა სოფ. ავრანში, სადაც „ბერძენი“ მასწავლებელი მხოლოდ რუსულ ენაზე ასწავლის.

ერთი რეხელი ყმაწვილი ბაღაბანოვი ახალქალაქის სამოქალაქო სასწავლებელში მიაბარეს იმ იმედით, რომ ქართულიც ესწავლა, მაგრამ რადგან ახალქალაქის სასწავლებელში ქართულ ენას, უკუდამართობის გამო, სრულდებით არ ასწავლიან, ამიტომ ყმაწვილმა ისევ გორის სასწავლებელი ირჩია და იქ გადავიდა იმ აზრით, რომ რუსულთან ერთად ქართული ლაპარაკიც შეისწავლოს და წერა-კითხვაც.

გამოვიკითხე მიზეზი გადაგვარებისა. რა მოხდა იმისთანა, რომ რეხელმა ქართველობამ დაჰკარგეს თავიანთი სამშობლო ენა და ეროვნება.

სოფ. რეხის ქართველობა გადმოასახლებულა ოსმალეთიდან პასკევიჩის დროს 1828 წ. არტანის სანჯახის სოფელ ველიდამ. მურვანიშვილმა მითხრა, რომ მართა ჩვენის ოჯახიდან თორმეტი აკვანი წამოვიდა. გადმოსახლებულებს ხუთმეტრიოდ კომლი ქართლიდან მიმტებიან კოვზიაშვილები, ოსიაშვილები და სხვ. ნეტა ეს ქართლები რაღა ენაზე ეუბნებიან მღვდელს აღსარებას, ან რა ესმით ბერძნულის წირვა-ლოცვისა და თათრულის ქადაგებისა? — ესენიც გადაგვარდებიან, მა რა

ისიც მიეწერება მასწავლებლის მხეობას და ბეჯითობას. როდესაც საქართველოს სხვა სოფლების სკოლებში უადგილობისა გამო ბევრი ყმაწვილი რჩება უსწავლელი, აქერწოში მასწავლებელი თითონ ეხვეწება და ემუდარება მშობლებს თქვენი შვილები სკოლაში მოიყვანეთო. გადამდები ავადმყოფობა როცა-კი გაჩნდება, მუსრს ავლებს აქაურებს. წელს წითელამ ერწოში ბევრი ყმაწვილი იმ სხვერბლა... ამ ორი თვის წინად საქონლის ჰირიც გაჩნდა და რამდენიმე სოფელს დიდი ზარალი მისცა და დღესაც აძლევს.

დარ. ზ—სა.

ნ მ რ ი ა.

† თავადი კოსტანტინე ოტას ძე ყიფიანი.

11 ნოემბერს დასაფლავეს სოფ. ხვანჭკარას, რაჭაში, საგვარეულო სამარხში მოხუცი თავ. კოსტანტინე ოტას ძე ყიფიანი. განსვენებული სიყმაწვილიდამე მძიმედ დაწვებული იყო და თავისუფლად მოძრაობას მოკლებული. აწმარმა მდგომარეობამ მისცა მას საშუალება, რომ რიგანად შეესწავლა თავისი სამშობლო ენა; მას ძლიერ უყვარდა სამშობლო ენის ლიტერატურა და მუდამ თვალყურს ადევნებდა ჩვენი ქვეყნის ცხოვრების ისტორიას;

ის არ ყოფილა არც ლიტერატორი, არც მეცნიერი და არც ჩინ-ორდენებით დაჯილდოვებული, ის იყო მხოლოდ სოფლის მებატონე, მახსოვარი ძველის ბატონ-ყმობისა, მოწმე ახალის დროის გავლენისა, ის არაფრით შესანიშნავი არ იყო, თუ სახეში არ მივიღებთ, მის პურუხვობას; მისის მდიდარის ოჯახის კარი ღია იყო, როგორც გლახაკისათვის ისე დარბაისელი სტუმრისათვის, მთავარ-მართველები და გუბერნატორები რაჭაში მობრძანების დროს მის ოჯახში ჰპოუ-

ჯანაბა!

როცა საქართველო ძლიერი იყო და ამ ზემო-ქართლს გოლა, არტანის და სხ. განაგებდა, მაშინ რა თქმა უნდა რომ ფელელი ქართველები თავისს დედა-ენაზე ჰლაპარაკობდნენ და წირვა-ლოცვაც სამშობლო ენაზე ჰქონდათ, მაგრამ არ მისცა დემოკრატია ქართველებს ერთობის ნიჭი, თორემ ამისთანა გულ-გვფხვ ხალხს რა მტერი და რომელი მტერი დასძლევდა! რომელიმე ერისთავი ანუ მთავარი კისერს გაისუქებდა თუ არა, მაშინათვე იმის ფიქრში იყო, მეფე ტახტიდან ჩამოგვადო და მე ვავმეფდეთო. ეტყობა ყველას სჭირდა ავადმყოფობა მანა დადებულბასა.

წართვა ოსმალთა ქართველებს ეს არე-მარე, გაძლიერებული სიცოცხლით და ციხე მონასტრებით სავსე და მას აქეთ ოსმალთა მთავრობამ განმძვინვარებელი დევნა დაუწყა განსაკუთრებით ქართველების ენას და სარწმუნოებას. არა ხალხი არ იყო ისე შევიწროებული, როგორც ქართველობა და მათი ზენე-ჩვეულება და სარწმუნოება. ამის მიზეზი, რასაკვირველია, უნდა ვეძიოთ გარდა მამამის სწავლისა პოლიტიკურ მოსაზრებაშიც — უფრო-კი პოლიტიკურ მოსაზრებაში, რადგან აზრად ისჰქონდათ, რომ შეემუსრათ სიძლიერე საქართველოსი და ძალმომრეობით სამარადისოდ

ლობდნენ თავიანთ შესაფერ ბინას და პატივის-ცემას. ერთის სიტყვით, ამ მხრით განსვენებული კ. ყიფიანი პირველი იყო მთელს მარაში და ტოლი არა ჰყავდა, მაგრამ ეს სულ მკრთალი დახასიათებაა განსვენებულისა. პურადობა საზოგადოდ ქართველი კაცის ღირსებაა, ეს ღირსება მას ხშირად უკიდურეს სიღარიბეშიც არ ანებებს თავს; თავადმა კოსტანტინე ყიფიანმა დასტოვა ის ხსოვნა, რომ მისი სახელი დიდხანს იქნება რაჭველების გულში; განსვენებულმა ყველა თავის დროებით ვალდებულ გლეხთ უანდერძა, რაც მათ უსტავნი გრამოტების ძალით ადგილ-მამული ჰქონდათ, რომელიც მტირე შეფასებით არა ნაკლებ 20,000 მანეთი ეღირება. ამნაირი მოქმედებით მან საუკუნო ძეგლი დაიდგა გლეხების გულში და განსვენებულის სახელი საუკუნოდ იქნება მათში, ვისიც ყოფა-ცხოვრება სამუდამოდ გაუფუჯობესა. საქებია განსვენებულის მოქმედება. ქეშმარიტად ის ყოველი ქართველი კაცისაგან კეთილად მოსაგონებელია. დემოკრატია ქნას ამ ნაირად მოძმისადმი სიყვარულით გამსჭვალული კაცი ბევრი დაბადოს ჩვენს ქვეყანაში; ეს იყო მიზეზი, რომ 11 ნოემბერს მისი ვეებერთელა ეზო სავსე იყო აუარებელი ხალხით და ისეთი ცრემლით იღვრებოდნენ, რომ თითქო თვითუფლს მათგანს თავის სახლში მყოფი ვინმე მოჰკვდომოდეს; საღამოს 4 საათზე განსვენებულის გვამი ყოვლად-სამღვდელო ალავერდის ეპისკოპოსის ბესარიონის წინა გაძლოთ წაასვენეს საგვარეულო ეკლესიისაკენ სოფელ ხვანჭკარას; ტოლიდამ თან მრავალი ხალხი მისდევდა ტირილითა და გოდებით. საუკუნოდ იყოს შენი ხსენება კაცთ-მოყვარე, თავადო კოსტანტინე!

კ. წულუკიძე.

მოუწყვეტათ ეს ამოდენი მხარე საქართველოსთვის. ამას ისიც გვიტკიცებს, რომ სომეხთა, ბერძენთა და კათოლიკეთა სარწმუნოება სრულის თავისუფლებით ჰსუფუფავდა.

აი ამისთანა გარემოებაში ყოფილა ოსმალეთში ეს რეხელი ქართველობაც. ერთი მოხუცი მღვდელი შერჩნოდით და ისიც მოუკვდათ. ოდესმე დიდებული საეპისკოპოსო და საკათედრო ტაძრები კუმურდოსი, ცხრა-წყაროსი ტაოსკარისა და სხვ. ტაძრები სრულებით გაუქმებული და აოხრებული იყვნენ ოსმალთა ხელში. ვისაც მღვდლობა ჰსურდა, უნდა კურთხებულყო ბრძენის ეპისკოპოსის ხელით, რომელიც ერთი არზრუმში იჯდა, მეორე ტრაპიზონში. საქართველოს მაშინ ის დონეღარ ჰქონდა, რომ თუ პოლიტიკური არა, ზნეობრივი და სარწმუნოებრივი კავშირი მინც არ დაჰკარგვოდა ქართველებთან ამ წარმეულ მხარეში. ამიტომაც რეხელებს საქართველომდე ხელი ვერ მიუწვდათ, მღვდელი ვერ მოითხოვეს და ვერც ითავეს ვინმე ქართულ წერა-კითხვის მცოდნე არზრუმის ეპისკოპოსისთვის ეკურთხებინათ. ბოლოს გაფრანგებას — რისთვისაც იქვე დასწავლდნენ იესუიტები — და გაათარებებს ისევ ასე არჩიეს: მოუწოდეს ბერძნის მღვდელს და წირვა-ლოცვა ბერძნულად დაიწყეს თათრულ ენაზე განმარტებით.

შურნალ-ზაფხიმეზიდა

ამოკრებილი ამბები.

— ადამიანი ჯერ კიდევ სისხლის მოყვარული ორ-ფენია. მას აქამომდე თავისი თავის შესაქცევად იმისთანა გასართობი უყვარს, რომელიც უფრო მხეცურ წყევალ-გლეჯას და სულიერის ტანჯვა-წამებას მოასწავებს. ხომ ვქაღდლობთ სწავლა-განათლებას იმათ მიერ მოძღვრებულს გულ-მტკივნეულბას და სიბრალულს ყოველის სულიერის მიმართ, მაგრამ არ იქნა და ადამიანის გული იმოდენად არ გამოკეთდა, რომ პირუტყვის ერთმანეთზე გააფთრებით მისევა, ამით მათი წვალება და ხშირად წამებით სიკვდილიც საამურ სანახავად არ მიანდეს, აი რასა სწერენ ამ საგანზე:

ნინოს ქალაქში აკრძალულია ჰიდლი ხარებისა. ამ აკრძალვის ისე აუშფოთებია იქაური მცხოვრებნი იქაურ პირუტყვთა მფარველ საზოგადოების წინააღმდეგ, რომ ჯავრის ამოყრა მოუწადინებიათ, რადგანაც აკრძალვის მიზეზად ამ საზოგადოებას თურმე ჰხადიან. ამ ჯავრის ამომყრელ ყოველის ქვეყნიდან მოუკრებიან ცნობები, სად როგორ აქედმენ ერთმანეთს პირუტყვს და ამა ჩვეულებათაგან ყველაზე შეუბრალებელი და შემადრწუნებელი ამოურჩევიათ. ეხლა გამოუცხადებიათ პროგრამა, რომელიც ქალაქს ნინოს სწორედ პირუტყვთა გლეჯით გადააქცევს. ჯერ პროგრამაში ყველაზე წინა სდგას მამულების ჰიდლი, მერე თავგებისა და ერთის განსაკუთრებულ ჯიშის ძაღლისა ერთმანეთისა. ორი თუ სამი ვირ-თავა უნდა მიუსიან ერთს ძაღლს, რომელსაც ისე სწურთენ, რომ იმისთანა წამი ჩავდოს, ეცეს, ჯერ ერთი დარჩოს და მერე მეორე და ვირ-თავები კიდევ უნდა ეცადნენ კისერზე შეაბტნენ ძაღლს და კისერი გადულდნან. ძალი ჰბოჟის, ვირ-თავები სისინებენ და მაყურებელისათვის საამური სანახავია, დასასრულ „კანარეიკების“ კონცერტია. საწყალ ჩიტებს თვალბასა სთხრიან და ზოგიერთა ხერხით იმდენს აგლობებენ, ვიდრე სულს დაღვევენ. ის-ღა აკლიათ ადამიანი და მხეცი ერთმანეთს მიუსიან დასაგლეჯად და შესაქმევად. შორს არა ვართ, რომ ძველებური გლადიატორობა შემოვიდეს.

— ჩრდილო ამერიკაში ერთი მანდილოსანი მწერალი რომანებისა, სახელად მის ბრედდონი. იგი ეხლა მესამეც რომანს თავისის რომანებისას აწვადებს „თურმე. ოცდაცამეტი წელიწადია, რაც სწერს, ყოველი რომანი მის ბრედდონისა სამს ტომს შეად-

ვინც იქამდე შეგნებული არ არის, ანუ ვისაც არ სჯერა რა დიდი მნიშვნელობა აქვს ერისთვის სამშობლო ენას, ვურჩევთ ჩაუფიქრდეს ამ რეხელების თავდადასავალს.

დღეს რეხელები ჩვენთვის აშკარა მაგალითს წარმოადგენენ ერის ძალმომრეობით გადაგვარებისას. რეხელების ამბავი ცოცხალ ნიმუშს წარმოგვიდგენს, რომ ყოვლად ძლიერ სარწმუნოებასაც-კი ვერ შეუძლიან ერი დაისხნას გადაგვარებისაგან.

აბა რა ქართველია ეხლა რეხელი? რა ვუყოთ რომ სარწმუნოებით იგიც მართლ-მადიდებელია?

სწორედ საცოდაობა იყო ჩემი ამითან ლაპარაკი. ხომ ვიცოდი, რომ რეხელები მართლ-მადიდებელი ქართველები არიან, მაგრამ რა ვუყო სარწმუნოებას, რაკი ლაპარაკი დედანაზე ვერ შეეძლოთ. ჩემმა გულმაც ვერ იგრძნო გულმა დაკარგულ მოძმის სიყვარული და სიბრალული.

იმ დროს-კი, როდესაც თავშეხვეული სარუხიანი მამადიანი ქართველი დედა-ენაზე ქართულად მელაპარაკება, რაღაც სიადუმლო ზეგარდმო ძალა ანდამატებით მისკენ მიზიდავს, წამსვე გული ჰგრძნობს მისდამი სიყვარულს, სიბრალულს და თვლებში თან სიხარულის ცრემლები გერევა. როგორ ახსნით ამ გრძნობას, არ

გნეს, სხანს სულ ას ოთხმოცი ტომი დაუწერია. ერთს ინგლისელს გამოუჩნდარიებია და გამოუყვანია, რომ მასს ბრედდონი ყველა-წლივ ორი ათ.სს გვერდს სწერს და დღემდე მოდის ექვსი დასტამებული გვერდი. ნ. გ.)

— ბებერა თურმე ყველა სულიერზე მეტი მჭამელია. ცნობილი მეცნიერი ჯონ ლებოკი, რომელიც იძიებს მწერთა ფიზიოლოგიურ და ფსიქოლოგიურ თვისებას, ეხლა აცხადებს თურმე თავისი გამოჩინებულ ბებერის შესახებ. სხვათა მეტად შესანიშნავთა ამბავთა შორის, იგი გვაუწყებს, რომ რაც ქვეყანაზე სულდგმულია ყველაზე დიდი მჭამელი ბებერა არისო, თუ მის მიერ შექმულს მისის ტანის და აგებულების სიდიდეს შეუწონავთო. ლებოკს აუწონია რამდენიმე ბებერა ჯერ უშველი და მერე ნაჭამი და ამბობს: იმის მიხედვით, რასაც ბებერა თავისი ტანის გვარად სჭამს, იმოდენა დაეკაცებულმა ადამიანმა რომ თავისი ტანის გვარად შეჭამოს, 24 საათში მოუღებოდა ორი მთელი ხარი, ცამეტი ცხვარი, ათი გოჭი და აუარებელი თევზიო. (ნ. გ.)

უცხოეთი

საზრანეთი. გაზეთებში დაბეჭდილია დეკრეტი, რომლით ნებადართულია — კვლავ დაიწყოს მოღვაწეობა „მუშათა ბირჟამ“, რომელიც დიუბუის სამინისტროს დროს იქნა დახურული. ბირჟის საგანია — გაუადვილოს მუშათ საქმის მოპოვება. ამისთვის ბირჟასთან არსებობს მრავალი უფასო კანტორა, სადაც მუშათა და მუშის მძებნელთ შეუძლიანთ მიიღონ ყოველგვარი ცნობა. გარდა ამისა ბირჟაში შეუძლიან კრება მოახდინონ ყველა სინდიკატებმა; იქვე არსებობს კომისია, რომლის წევრებად არიან სინდიკატებისა, ქალაქის თვით-მმართველობისა, პრეფექტურისა და საგაქრო სამინისტროს წარმომადგენელი და რომელსაც საგნად აქვს მუშათა ინტერესების დაცვა და მუშათათვის მზრუნველობა.

რადიკალთა პრესამ თანაგრძნობით

ვიცი, მე მხოლოდ გულხანდით აღვიარე ჩემი შთაბეჭდილება და სულის მდგომარეობა ორსავ შემთხვევაში.

VIII

აი ასე გადაგვარდა ამ მხარეში მრავალ ტანჯული ქართველი ერი. ძალად მოუკლეს ბუნება და გაკაფულ ვენახზე ნამყოფ ჰანკურს აბა რა ნაყოფი უნდა გამოეღო? მოგესხენებათ „უპატრონო ეკლესიის, ემბაკები დაკატრონენო“. უპატრონოდ დარჩენილ ქართველობას ზოგს ძალდატანებით ათათრებდნენ და ზოგს კათოლიკეთა მისიონერება ძალად აკათოლიკებდნენ.

ამ გვარად მთელი ეს ზემო-ქართლი, მესხეთი, ჯავახეთი, შავშეთი, გოლა, არტანი, არტანუჯი, ტაო, ოლთისი, აჭარა და ქობულეთი და მრავალი სხვა საქართველოს პროვინციები, რომელიც ერთად რომ ავილოთ, ეხლანდელ საქართველოზე თუ ხუთ-ჯერ არა სამჯერ მაინც მეტი იქნება — ოსმალეთმა მოსწყვიტა საქართველოს, დაასუსტა ქართველთა უძლეველობა და მათმა ორასის წლის აქ მძვინვარებამ სამ-ოთხ მილიონამდე ქართველობას სრულდებით დაუკარგა ენა, ზენე-ჩვეულება, ეროვნება და სარწმუნოება.

ილ. ალხაზიშვილი.
(შემდეგი იქნება).



აღნიშნა ამგვარის დეკრეტის გამოცემა.

ამსტრ-უფსკრიტი. ამ დღეებში გრავ ბადენი პარლამენტს წარმოუდგინა თვისის პოლიტიკის საფუძველი. მან გამოაცხადა, რომ მთავრობა უმთავრეს ყურადღებას მიაქცევს ეკონომიკურ ინტერესებს ავსტრიისას. გარდა ამისა მთავრობის სურვილია ყოველი ღონისძიება იმისთვის და ავსტრიასა და უნგრეთს შორის კავშირი უცვლელად და დაუღრვევლად შეინახოს. მთავრობა ეცდება აგრეთვე აასრულოს კანონიერი მოთხოვნები ყველა ერთა ავსტრიაში და მოარვიოს ისინი. საარჩევნო პროექტი უკვე მზად არის, თქვა ბადენიმ, მაგრამ პარლამენტს მხოლოდ მომავალ წლის თებერვალში წარედგინება.

ოსმალეთი. კოსტანტინოპოლიდამ იწერებინა, სომეხთა პატრიარქმა შეატყობინა იტალიის ელჩს, რომ საპატრიარქოს ცნობით სულ ოსმალეთში ნახევარ მილიონამდე სომეხია უსახლ-კაროთ დარჩენილი.

საპარტიზმოც თავადნი.

თავადნი ბაგრატიონ-მუსხან-ბატონნი. საქართველოს მეფის გიორგის 1687 წლის გუჯარში, გაქმნა მუსხან-ბატონი, მეფის ძე თეიმურაზი და შეიქმნა მისი გოსტანტინე, ოტა და ადარნასე მუსხან-ბატონნი თავადუბად არიან წოდებულნი.

20 სექტემბერს 1825 წ. უმაღლესად დამტკიცებულს სასჯელმწიფოს საბჭოს განჩინით თავადუბად ცნობილ და ძე-V გვარეულობათა წიგნში შეტანილნი არიან თავადნი ბაგრატიონ-მუსხან-ბატონნი: 1) გუგუაძე-მაიაძე, მუსხან-ბატონი, გოსტანტინე ივანეს ძე და შეიქმნა მისი: ივანე, არაგვი, ალექსანდრე და გიორგი; 2) კაპიტანი თეიმურაზ ივანეს ძე და შეიქმნა მისი ალექსანდრე; 3) პორუბიკი გიორგი (გრიგოლი) ივანეს ძე და 4) შადმურუბიკი დავით ივანეს ძე და შეიქმნა მისი კასტანცია.

უმართებულესი სენატის დადგენილებით 7 იანვარს 1847 წელს, 16 აპრილს 1858 წ., 2 დეკემბერს 1864 წ. და 1 მარტს 1872 წ., ამ გვარს შეუერთდნენ: 1) შვილი გუგუაძე-მაიაძისა მისივე გოსტანტინეს ძე; 2) ესტატე დავითის ძე; 3) პლექარევი ნიკოლოზ დავითის ძე და შეიქმნა მისი ნიკოლოზ და სოფია და 4) ალექსანდრე ივანეს ძე ბაგრატიონ-მუსხან-ბატონნი.

საქართველოს მეფის სიძის 1611 წლის 4 დეკემბერს გუჯარში მძანი თეიმურაზ და ქაიხოსრო მუსხან-ბატონნი და შეიქმნა მათნი: კასტანცია, არჩილი, ბაგრატი, გრეგოლე, დავით და გოსტანტინე თავადუბად არიან წოდებულნი.

25 მარტს 1826 წელს უმაღლესად დამტკიცებულს სასჯელმწიფოს საბჭოს განჩინით თავადუბად ცნობილ და V გვარეულობათა წიგნში შეტანილ არიან: 1) კაპიტანი გიორგი და კაპიტანი ურუპია სიძის ძე, — ურუპიას ძე პეტრე და ლეან და მისიწული მათნი სიძის და ლუკასა კაცის ძე; 2) ნიკოლოზ კადმურას ძე და 3) შადმურ-

ნიკი ქაიხოსრო ბაგრატიონ-მუსხან-ბატონნი.

უმართებულესი სენატის დადგენილებით 7 იანვარს 1847 წ. და 10 იანვარს 1850 წ. ამ გვარს შეუერთდნენ: 1) ალექსანდრე სიძის ძე და 2) ივანე, ალექსანდრე და გოსტანტინე ქაიხოსროს ძე ბაგრატიონ-მუსხან-ბატონნი.

6 დეკემბერს 1850 წ. უმაღლესად დამტკიცებულს იმერეთის თავადთა სისამხრეებზე თავადი დავით სოლომონის ძე ბაგრატიონ-მუსხან ბატონი და შეიქმნა მისი დომიტრი.

დეკრეტა

(რუსეთის დეპუტათა საკენტიანად).

6 დეკემბერი.

პეტერბურგი. შინაგან საქმეთა სამინისტროს გამგე გორემიკინი შინაგან საქმეთა მინისტრად დანიშნა.

ხელმწიფე იმპერატორმა 6 დეკემბერს ბრძანება გასცა, რომ მისი უდიდებულესობის ხარჯით პეტერბურგს გაიმართოს სამუდამო უფასო სასადილო 100 ღარიბისა და მოხუცთათვის.

6 დეკემბერი.

პეტერბურგი. სახელმწიფო ხაზინის დეპარტამენტმა განკარგულება მოახდინა 1894 წლის 14 ნოემბრის უმოწყალოესი მინიფისტრის გერბის გარდასახადის ნედლივალისა და ჯარიმების პატივების აღსრულება შეეცნებულ იქნას, ვიდრე ამ საგნის შესახებ უმართებელის სენატის ახალი დადგენილება გამოცხადდებოდეს.

5 დეკემბერს მოსკოვიდამ ცარსკოე სელოში მოვიდნენ დიდი ჰერცოგი ჰესსენისა და მისი მეუღლე.

5 დეკემბერს ქადრაკის თამაშობაში სტენიციმა პილსბერგს მოუგო, ხოლო ლასკერმა — ჩიგორინს.

პეტერბურგი. ხელმწიფე იმპერატორის სახელწოდების დღეს საინტენერო შენობის მანქანით თორმეტს საათზე მოვიდნენ დიდი მთავარი და დიდი მთავრინანი. მანქანის წინ სადღესასწაულოდ გამოწყობილი იყვნენ ჯარები. სრულ თორმეტ საათზე მობრძანდა ხელმწიფე იმპერატორი და მასთან ერთად დიდი ჰერცოგი ჰესსენისა. პარაკლისის შემდეგ ბაიარდებსა და ჯარებს აიხმა ასხურეს. შემდეგ ჯარებმა სადღესასწაულო მარშით გაიარეს. შემდგომ ამისა სახამთრო სახლში, ნიკოლოზის ზაღაში, მათის უმაღლესობის თანადსწრებით გამართულ იქნა საუბრე, რომელზედაც ყველა იქ დამსწრე ოფიცირნი იქმნენ მიწვეულნი. საუბრის დროს დიდმა მთავარმა ვლადიმერ ალექსანდრეს ძემ ხელმწიფე იმპერატორის სადღევრძელო დარია, ხოლო მისმა უდიდებულესობამ მიიროთა სადღევრძელო ყველა ჯარებისა, რომელნიც იმ დღეს დღესასწაულობდნენ.

კრახნოიარსკი. გაზ. „ენისიე“ იუწყება: „დღეს აქ ჩამოვიდა ინტენერი იავორსკი, რომელიც გზის გაყვა-

ნის საქმე განაგებს. ხვალ, ნაშუადღევს 1-ლ საათზე, პირველს მატარებელს მოელოან. ხალხი დიდს ამბობთ აპირებს და დახვედრას.

პარისი. სასამართლოს გამოძიებელი რიბოს დიდხანს ელაპარაკა სასამართლოში იმსახირის შესახებ, რომელიც რიბოს წარუდგენია დიუბასგან წარდგენილს ცნობებზე. ამბობენ, დიუბა, რომელიც წინა პოლიციელად იყო და რომელსაც არტონის პოენა ჰქონდა დავალებული, დაპატიმრებულია.

ბელგრადი. დედოფალი ნატალია მობრძანდა. დედოფალს დაუხვდნენ ვოკზალზე მეფე, მინისტრნი, კარისკანი და სკუპზინის წევრნი.

სოფია. მათის უდიდებულესობის ხელმწიფე იმპერატორის სახელწოდების დღეს პარლამენტმა გარდასწყვიტა მილოცვა გაუზღავნოს.

ლონდონი. „ტაიმს“-ი იუწყება, რომ კოსტანტინოპოლში მყოფმა საფრანგეთის საელჩომ ამბავი მიიღო, რომ მავაშის მახლობლად, ენიჯა და კალხაში ფრანგთა მონასტრები გაუძარცვავთო. რა დაპირებინა 5 ბერს, არავინ იცის.

ლონდონი. ამერიკის რთული და ახალი საქმეები დიდად ემუქრებიან ინგლისს. ირლანდიის მხედრობის პირველი რაზმი უკვე მომზადებულია ნიუ-იორკში. დანარჩენ ქალაქებშიც გაფაციცებით ემზადება რამდენიმე სხვა რაზმი.

განცხადებანი

ახლად დაიბეჭდა და ისყიდება წერაკითხვის გამავარცლებლის საზოგადოების წიგნის მალაზიაში:

- ნ. ბანათაშვილის ლექსები და წერილები. გიმოცემა მეხუთე. ფასი 40 კ. მამის ერთეული. მოთხოვნა მოზრდილის ყმაწვილებისათვის ქრ. შმიდტისა ფასი 15 კ. მტრედი. მოთხოვნა მოზრდილის ყმაწვილებისათვის. ქრ. შმიდტისა ფასი 10 კ.

ПОЛНОЕ СОБРАНИЕ ГРИГОРОВИЧА СОЧИНЕНИЙ

Подписчики „НИВЫ“ получают в 1896 г. 52 №№ журнала „НИВЫ“ до 1500 столбцов текста и 500 гравюр. 12 томовъ полного собр. сочинений Д. В. ГРИГОРОВИЧА. печат. на хорош. глазиров. бумагъ. 12 книгъ „ЕЖЕМЕСЯЧНЫХЪ ЛИТЕРАТ. ПРИЛОЖЕНИЙ“, въ увелич. объемъ. 12 №№ „Парижскихъ модъ“, заключающихъ въ себя въ течение года до 300 модныхъ рисунковъ. 12 №№ рукодельныхъ и вышивныхъ работъ и выкроекъ съ 600 рисунк. и чертежами въ течение года. ПОРТРЕТЫ Государыни Императрицы АЛЕКСАНДРЫ ѲЕОДОРОВНЫ, по оригиналу художника И. С. Галкина отпечат. въ 27 красокъ, размѣр. 18 вершк. выш. и 14 вершк. ширины. СЪВННОЙ КАЛЕНДАРЬ, отпечатанный красками.

ОТКРЫТА ПОДПИСКА

НА 1896 годъ

на новую политическую общественную и литературную ГАЗЕТУ

„КАЗВЪЖЪ“

Газета будетъ выходить во владикавказѣ три раза въ недѣлю по вскресеньямъ, вторникамъ и четвергамъ

ПО СЛѢДУЮЩЕЙ ПРОГРАММѢ:

- 1) Дѣйствія и распоряженія Правительства. 2) Статьи по экономическимъ, этнографическимъ, бытовымъ и другимъ вопросамъ, касающимся Кавказа вообще и Терской области по преимуществу. 3) Хроника: мѣстные происшествія, извѣстія внутреннія и внешнія, съ указаніемъ ихъ источниковъ. 4) Корреспонденціи изъ разныхъ мѣсть и телеграммы. 5) Судебная хроника безъ обсужденія рѣшеній. 6) Фельетонъ, новости изъ области наукъ и искусствъ, повѣсти, рассказы, очерки оригинальные и переводные, статьи популярно-научнаго содержания. 7) Смѣсь, справочныя свѣдѣнія и объявленія.

Подписная цѣна: съ доставкою во владикавказѣ на годъ 6 руб., на 6 м. 3 р. 50 к., на 3 м. 2 р. и на 1 м. 75 к., съ пересылкою по почтѣ на годъ 7 руб., на 6 м. 4 р. на 3 м. 2 р. 50 к. на 1 м. 1 р. отдѣльный номеръ 5 коп.

Подписка и объявленія принимаются у издателя

СЕРГѢЯ ІОСИФОВИЧА КАЗАРОВА.

Издатель С. КАЗАРОВЪ.

Редакторъ А. КОЛУБЕЙКО.

В. С. газета будетъ выходить съ Декабря мѣсяца 1895 г. и разсылаться годовымъ подписчикамъ бесплатно.

დაიბეჭდა მეორე გამოცემით

იპონანამ რა ჰქმნა

მოთხოვნა იაკობ გოგებაშვილისა.

წიგნი შემკულია რვა სურათით, რომელნიც მკითხველს თვალწინ უდგენენ: 1) ზურაბ ქართველადეს და მისს ცოლს პატარა ქეთოთი, როდესაც ქმარი უკრავს თარზედ და ცოლი დამღერის; 2) ქეთოს მოტაცებას ტყეში ლეკებისაგან; 3) ქეთოს ყოდვას ნაიბისაგან; 4) ქეთოს მოტაცებას ათის წლის შემდეგ მამის მიერ; 5) ქეთოს მოყვანას შინ; 6) დედა მღერის „იავნანასა“ და ქეთო გონზედ მოდის, ცნობულობს დედას და იგონებს თავისს ბავშვობას; 7) ქეთო ხელზე გაშლილი მირბის დედისაკენ; 8) დედა და შვილი ერთმანეთს ეხვევიან. წიგნი ისყიდება დამკვეთელთა წიგნის მალაზიაში: ტფილისში წერაკითხვის საზოგადოების მალაზიაში, ქუთაისში ბეჟანევილითან და ჰილადესთან, ოზურგეთსა და სენაკში თავართქილაძესთან. ფასი ყველგან ორი შაურია. (10—7)

დაიბეჭდა და ისყიდება

ყველა ქართულ წიგნებით მოვაჭრებთან 1896 წლის

ქართული

კედლის კალენდარი

შედგენილი

ბ. ჩარქვიანი-მეიერი.

ფასი 40 კაპ.

გარეშე პირთ შემუძლიანთ მიმართონ ტფილისში წერაკითხვის მალაზიას და ს. მ. ლაზარევის სამწერლო ნიეთეულობის მალაზიას. (5—4).